


თამარ მახაროზლიძე

ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შესახებ

ნებისმიერი ენა არის ნიშანთა სისტემა. ამდენად, ისევე, როგორც ნებისმიერი სამეტყველო ენა, ნებისმიერი ჟესტური ენა წარმოადგენს კონკრეტულ ენობრივ სისტემას და აქვს ყველა იერარქიული დონე. ჟესტური ენა ვიზუალურ-სივრცითი ენაა, სადაც ინფორმაციის კოდირება ხდება ხელებით და სახის გამომეტყველებით, გამოხედვით, სხეულისა და თავის მოძრაობით. ჟესტური ენები აღიქმება მხედველობით (ე. პროზოროვა, ა. კიბრიკი 2006:165) რამდენადაც, ჟესტურ ენებში წამყვანია ვიზუალური აზროვნება. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ლექსიკური დონის მთავარი მამოძრავებელი ფენომენი ჟესტის გარეგნული მხარეა. ჟესტურ ენათა ლექსიკური ანალიზი გულსხმობს კინემის აღწერას. ასეთია საერთაშორისო სტანდარტი ამ ტიპის ლექსიკონებისათვის. კინემის აღწერა არის მიმიკისა და ქირემის ჯამური აღწერა.




მიმიკა არის სახის გამომეტყველება, რომელსაც აქვს თავისი კონკრეტული გრამატიკული ფუნქცია და ქირემა არის ხელით შესრულებული მოძრაობის ერთეული. ქირემის ძირითადი კომპონენტებია:

1. ხელის მტევნის გამოხატული ფორმა (ხელის მტევნით გადმოცემული კონკრეტული სიტყვის ფორმა);
2. ხელისგულის მიმართულება;
3. ხელის მოძრაობის ადგილი;
4. ხელის მოძრაობის ტრაექტორია.

ეს კომპონენტები, როგორც ჟესტის კომპონენტები, გალადეტის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ სტოკოემ გამოყო 60-70 წლების მიჯნაზე და ჟესტი განიხილა როგორც ფონემური დონის ერთეული და ზემოჩამოთვლილი კომპონენტებით წარმოადგინა მის მახასიათებლებად. ასეთი მიდგომა იყო რევოლუციური. ეს გახდა ახალი ერის დასაწყისი ჟესტური ენების კვლევების ისტორიაში. უდიდესმა

მეცნიერმა ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ჟესტური ენების მეცნიერულ კვლევას და დამტკიცა, რომ ეს ენები დამოუკიდებელი თვითკმარი ენებია.

შეიძლება ითქვას, რომ ჟესტური ენა არის კინემატოგრაფიული ენა. ჟესტურ ენებში არსებობს ჟესტური ენობრივი კონსტრუქციები, რომელიც წარმოდგენილია სამგანზომილებიან სივრცეში და აქ ყველა კომპონენტი ჩართულია ენობრივ სისტემაში. სიტყვა-ჟესტი ასეთ სისტემაში დახასიათდება შემდეგნაირად:



სიტყვა-ჟესტი შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს სამგვარი ფორმის:

1. მხოლოდ ჟესტით გამოხატული (მაგ. კაცი, ქალი);
2. ჟესტითა და ერთი დაქტილით გადმოცემული (მაგ. ევროპა – ე+ჟესტი, აზია – ა+ჟესტი);

აქ გვაქვს ორი ვარიანტი:

- ა. ფორმა იწყება დაქტილით (“ევროპა” – ე+ჟესტი);
 - ბ. ფორმა მთავრდება დაქტილით (“ბევრჯერ” – ჟესტი+რ);
3. ჟესტითა და რამდენიმე დაქტილით გადმოცემული (მაგ. ოკეანე ოკ + ჟესტი).

აქ წარმოდგენილი ბოლო ორი ფორმა არის კომბინირებული – დაქტილურ-ჟესტური. კომბინირებულ სიტყვა-ჟესტებში დაქტილი ან დაქტილები შეიძლება იყოს ჟესტის წინ ან უკან მოსდევდეს ჟესტს. ქართულ ენას თითქმის არ ახასიათებს ჟესტის შემდეგ დაქტილის ან დაქტილების დართვა. ასეთი წყობა რუსული ჟესტური ენისთვის უფრო დამახასიათებელია (მაგალითად, მარილის აღმნიშვნელ სიტყვა-ჟესტს რუსული ენა დაურთავს რბილი ნიშნის გამომხატველ დაქტილს).

სიტყვა-ჟესტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთი ან ორი ხელით.



ბალი – ვარდისებრთა ოჯახის საშუალო სიმაღლის ხეხილი, აქვს მსხვილი დახრილი ფოთოლი, თეთრი ყვავილი და კურკიანი წვრილი ნაყოფი

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ყურთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

ორხელიანი ჟესტის შემთხვევაში თუკი ორივე ხელი ერთანირ მოძრაობას ასრულებს, ეს არის სიმეტრიული ჟესტი, ხოლო თუკი სხვადასხვა მოძრაობები სრულდება, მაშინ გვაქვს ასიმეტრიული ჟესტი. ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტის შემთხვევაში ერთ-ერთი ხელი უფრო აქტიურ მოძრაობებს ასრულებს მეორესთან შედარებით და ეს ენობრივი მოვლენა განისაზღვრება როგორც დომინანტი კონდიცია, ხოლო მეორე ნაკლებად აქტიური ხელის პოზიციას ეწოდება პასიური კონდიცია (ბეიკერ-შენკი და კუკელი 1980:82).



ბალიში – ბუმბულით ან სხვა რბილი მასალით გავსებული ოთხკუთხა ფორმის თავქვეშ სადები

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ზაყაყი – წყალ-ხმელეთის ციკლისხლიანი ოთხფეხა, უკუდო, პატარა, ხტუნია ცხოველი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილია საჩვენებელი და ნეკი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, თავისუფლად გაშლილი და დახრილი თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელი ხტუნვით მოძრაობებს ასრულებს მარცხენა მკლავზე. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

თავისი ლინგვისტური ფუნქციით ჟესტი შეიძლება იყოს ლექსიკური, სემანტიკურ-გრამატიკული ან ოდენ გრამატიკული. მაგალითად, ქართულ ჟესტურ ენაში არსებული ერგატიულობის ან ირიბი მიმართების ჟესტები ოდენ გრამატიკული ჟესტებია, თანდებულები და ზმნისწინების გამომხატველი ჟესტები არის სემანტიკურ-გრამატიკული ფუნქციური ჟესტები და არსებითი სახელების შესაბამისი სიტყვა-ჟესტები კი ლექსიკური ფუნქციის მქონე ჟესტებია.

ადამ კენდონის მიხედვით, ჟესტი შესაძლოა იყოს სამი ტიპის:

1. იკონოგრაფიული, რომელიც გადმოსცემს საგნის ან მოქმედების ხატებას ან ნიშნებს,
2. მეტაფორული, რომელიც შეიცავს სიტყვის მეტაფორული ტიპის გადააზრებას ან
3. დეიქტიური, მიმართულების აღმნიშვნელი.

ჟესტური ენები უნდა გაიმიჯნოს სამეტყველო ენებში გამოყენებული ჟესტ-მიმიკებისაგან ანუ ე. წ. ექსტრალინგვისტური ფაქტორებისგან. ჟესტურ ენაში ჟესტ-მიმიკა ურთიერთობის საყრდენი და ერთადერთი საშუალებაა – აქ გვაქვს საყრდენი ჟესტური კომუნიკაცია. ხოლო სამეტყველო ენებში ეს დამატებითი ფაქტორია, რომელსაც სხვადასხვა ტიპის ინტერპრეტაცია აქვს.

ცნობილია, რომ მეტყველება მხოლოდ ადამიანის კლასის კუთვნილებაა და ეს არის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ამ კლასისთვის. როგორ დგას საკითხი

ქესტური ენის შემთხვევაში? ქესტური ენა ეს არის ენობრივი აზროვნების განსხვავებული კინემური ფორმა. ქესტური ენები არის აზრობრივი ცნებების კინემატური ასახვის სიტემები. ქესტური ენა, როგორც საუკეთესო ლინგვოვიზუალური სისტემა, წარმოაჩენს ლინგვისტურ ერთეულებს, რომელთა კანონზომიერი ურთიერთმიმართებები ქმნის ერთიან ენობრივ სტრუქტურას.

საერთოდ, ადამიანის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი სხვა სულიერი არსებებისაგან არის ის, რომ ადამიანმა შექმნა შრომის იარაღი – ეს არის კოგნიტიურ-მანუალური აქტი. აქ უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ სწორედ ხელი და ხელით ნაწარმოები პროდუქტი გახდა ძირითადი ნიშანი ადამიანის სხვაობისა. მნიშვნელოვანია, რომ ორივე ტიპის მეტყველებას – ბგერითსაც და ქესტურსაც – წარმართავს აზროვნება და აქ გვაქვს მჭიდრო ორმხრივი ურთიერთკავშირი. პირველ შემთხვევაში ენობრივ სისტემას აყალიბებს აზრი და ბგერა ან ასო, მეორე შემთხვევაში კი – აზრი და კინემა, ანუ მოძრაობა.

ყრუთა თემების წევრები უმეტეს შემთხვევებში ბილინგვიზმით ხასიათდებიან. სამეტყველო ენებისგან განსხვავებით ქესტური ენები მინიმალიზებულია. ლაკონიზმი არის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა ნებისმიერი ქესტური ენისთვის. თუმცა, იმასაც უნდა ხაზი გაესვას, რომ ქესტური ენები განიცდიან სამეტყველო ენების გარკვეულ გავლენებს. მაგრამ ქესტური ენების სისტემური რაციონალიზმი და შინაგანი ენობრივი ლაკონიზმი მაინც არ იძლევა სრული კალკირების საფუძველს. საერთოდ, ქესტური ენების ორი ძირითადი ტიპი არსებობს – დამოუკიდებელი და შესაბამისი სამეტყველო ენიდან კალკირებული.

აღსანიშნავია, რომ ქესტურ ენებში ყურადღება ექცევა ქესტის სირბილეს და ელასტიურობას – როგორც კეთილხმოვანება გახლავთ საყურადღებო ფაქტორი სამეტყველო ენებისთვის.


ქესტური ენის ლექსიკური ერთეულების ხშირად პანტომიმურია ან იკონური.



გადახურვა – სახურავის დაფარება, სახურავის დადგმა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ხელები რკალური ტრაექტორიით გადაადგილდება ერთმანეთის მიმართულებით და ბოლო ფაზაში ხელები ერთმანეთს მსუბუქად ეხება თითების წვერებით. ჟესტი სრულდება მხრების დონეზე.


სხეულის ნაწილები, როგორც წესი, მითითებითია:



ბარძაყი – ადამიანის ფეხის ნაწილი თემოსა და მუხლისთავს შუა

ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „ფეხი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ქვევით დაშვებული ხელი წინ და უკან განმეორებადი მოძრაობით ეხება ფეხს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და ბარძაყის დონეზე.

ზოგჯერ წარმოდგენილია მთავრი ლექსიკური ერთეული, რომელსაც ერთვის ფორმის გამომხატველი იკონური ერთეული:



ბაკი – ავზი, დახურული ჭურჭელი სითხის შესანახად

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წყალი“ – ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წყალი“ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ფორმა – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, წრიულად მოხრილი თითებით და ზევით მიმართული ცერებით გამოსახულია ღია წრეები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

გარკვეულ ფორმებში ხდება შინაარსის ორმაგი მოწოდება ან იმავე ლექსემის

სემანტიკური დაზუსტება:




გამუდმებით – მუდამ, განუწყვეტლივ, ნიადაგ

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მუდამ“ – მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხშირად“ – მხრების დონეზე წინ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ტალღური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

ფორმისა და დამაზუსტებელი ჟესტების გარდა, ქართულ ჟესტურ ენაში გამოიყოფა რამდენიმე აფიქსური ტიპის მაწარმოებელი:

➤ ინტენსივობის მაწარმოებელი „ძალიან“:



გადაჭარბება – მეტისმეტად გადიდება, გაზვიადება, გადამეტება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შესრულება“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადაჭარბება“ / „ძალიან“ – მარჯვენა ხელის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ოდნავ მოხრილი ცერი და საჩვენებელი თითი გამოსახვენ ღია წრეს, ხელი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარცხნივ და ზევიდან ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული წინაა მიმართული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

➤ **დანიშნულების მაწარმოებელი:**



სასწავლო – სწავლისათვის განკუთვნილი, სწავლასთან დაკავშირებული, სწავლისა


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სწავლა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, შუბლის წინ სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

➤ **ადამიანის ხელობის (საქმიანობის) აღმნიშვნელ ჟესტთა მაწარმოებელი „ადამიანი“:**



ავტორი – პირი, რომელიც ქმნის რამეს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



მოქალაქე – ვისაც ან რასაც მოსვენებით ყოფნა არ შეუძლია, დაუდეგარი, დაუდგრომელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქალაქი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეულია შუათითი, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და შუა თითით ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

➤ ქონების მითითებითი მაწარმოებელი „ეს“:



ბარაქიანი – ბარაქის მქონე, ხვავრიელი, უხვი, დოვლათიანი


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბარაქა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება მკერდს მარცხენა მხარეს და წინ მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ფორმა – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

➤ წარსული დროის მიმღებების მაწარმოებელი „უკვე“:



მიღებული – რაც მიიღეს, აღებული, გამორთმეული

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიღება“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელი ზევით მოძრაობს სინქრონულად და ბოლო ფაზაში თითები მუშტადაა შეკრული; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




გაბედული – თამამი, მამაცი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაბედვა“ / „გმირი“ – ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელისგულები ქვევითაა მიმართული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი

მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

-
- ნამყო დროის მიმდებარების მაწარმოებელი სიტყვა-ჟესტი „გადაქცევა“ / „გარდაქმნა“:



გაბოროტებული – გაავებული, გაბრაზებული, გამწარებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბოროტი“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა. ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადაქცევა“ / „გარდაქმნა“ – ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე მიდებულია ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, საჩვენებელი თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის მონაცვლეობითი, განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

-
- მაწარმოებელი „პატარა“:



ბარტყი – გარეული ფრინველის მართვე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ჩიტი“ – ხელისგული მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია ნეკი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, გაშლილი თითები ეხება პირს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „პატარა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ერთმანეთთან შეტყუპებული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.

-
- სუფიქსური მაწარმოებელი „მრავალფეროვნება“:



აგრარული – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სოფელი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – ხელისგულები მიმართულია წინ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორი სუფიქსური მაწარმოებელი გვაქვს მოცემული.

➤ აბსტრაქტულობის მაწარმებელი:



მკვლელობა – სიცოცხლის მოსპობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოკლა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ასრულებს რკალური ტრაექტორიის მოძრაობას ქვევით და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოვლენა“ – წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

➤ უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსური „არა“:



გადაგვარება – შეცვლა, დეგრადირება

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხასიათი“ – ერთმანეთს ეხება გაშლილი საჩვენებელი და ცერი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ხელი ეხება მკერდს მარცხენა მხარეს, სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცნობა“ – ხელისგულები გაშლილი თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული ვერტიკალურ და ერთმანეთზეა გადაჭდობილი; ბოლო ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, უარყოფითი სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



მოუცლელი – ვინც მოცლილი არ არის, დაკავებული (საქმით)

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრო“ – ხელისგული ფართოდ გაშლილი თითების რხევით მიმართულია მარცხნივ, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

➤ უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსური „ვერა“:




მიღწეველი – რასაც ვერ მიაღწიეს, რის მიღწევაც შეუძლებელია

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიღწევა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა

ხელი ეხება მარცხენას და მასთან ერთად ზევით გადაადგილდება; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვერ“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

-
- უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსური „გარეშე“:



ათეიზმი – ურწმუნოება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ღმერთი“ – შუბლზე მიდებულია მუშტად შეკრული ხელი წინ მიმართული ხელისგულით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – ზევით მიმართული მარცხენა გაშლილი ხელისგულის ზედაპირზე მარჯვენა ხელის თითები გარეთ მიმართული რკალური მოძრაობით უარყოფას გვიჩვენებს. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.


-
- უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი პეფიქსური „გარეშე“:



უზრუნველი – ვინც არაფერზე ზრუნავს, ვისაც საზრუნავი არა აქვს, უდარდელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზრუნვა“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი, ზევით აღმართული და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.


-
- უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსური სიტყვა-ჟესტი „სიცარიელე“ / „არა“:



უგულო – ვისაც გული არა აქვს, გულქვა, გულცივი, უგრძნობელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცარიელე“ / „არა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.


-
- უარყოფითი ფომები ზოგჯერ სხვა ტიპის ლექსიკური საშუალებებითაც იწარმოება ყოვლგვარი უარყოფითი ლექსიკური ერთეულების დართვის გარეშე:



მოუდრეკელი – დაუმორჩილებელი, გაუტეხელი, შეუდრეკელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მაგარი“ / „მყარი“ / „უდრეკი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ირიბ ვერტიკალზე განთავსებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს სინქრონულად და ეხება ერთმანეთს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ჟესტური ლექსიკური ერთეულები უმეტესწილად კომპოზიტურია. გვაქვს სამეტყველო ენის პარალელური ტიპის კომპოზიტური ჟესტწარმოება:



ბიძაშვილი – ბიძის შვილი, მამის ან დედის ძმის შვილი


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბიძა“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საფეთქელთან სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შვილი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება რკალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.

სიტყვა-ჟესტთა შინაარსის ხშირად მისი სემანტიკის ჟესტური ახსნით ხდება. ქართული ჟესტური ენის ლექსემური წარმოებისათვის გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:



ბაჯაღლო – წმინდა ოქრო, რომელსაც მოწითალო ფერი გადაჰკრავს

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ყვითელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ნეკები მსუბუქად ეხება ერთმანეთს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოქრო“ – ქვევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, საჩვენებელი თითი წინ იშლება და იკეცება რამდენჯერმე. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ბედისწერა – განგება, ხვედრი, იღბალი, ბედის წინასწარ განსაზღვრულობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბედი“ – ხელი მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, საჩვენებელი თითი ჯვარს გამოსახავს შუბლზე; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უბედური შემთხვევა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, არათითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



ბელადი – მეამბოხეთა ჯგუფის წინამძღოლი, მებრძოლთა მეთაური

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გმირი“ – ხელისგულები ქვევითაა მიმართული შეკრული მუშტებით, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით მიემართება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მთავარი“ – ზევით განთავსებულია სხეულისკენ მიმართული მარჯვენა ხელი მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულ მარცხენა ხელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ბერი – სასულიერო პირი, რომელსაც ყველაზე მკაცრი ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მღვდელი“ – ზევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ოვალურად მოხრილი ხელი ნიკაპთანაა განთავსებული, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მარტოობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



ბიბლიოთეკა – წიგნთსაცავი, დაწესებულება, სადაც საზოგადოებრივი სარგებლობისათვის თავს უყრიან წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წიგნი“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგულის ზედაპირზე მარჯვენა ხელი განმეორებად მოძრაობას ასრულებს მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თარო“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.




ბინა – ცალკე საცხოვრებელი სადგომი შენობაში, სახლი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სახლი“ – ხელისგულები გაშლილი თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული, ხელები ერთმანეთს თითების წვერებით ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოთახი“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია საჩვენებელი და ცერი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელის გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელისგულს და იცვლის პოზიციას, ბოლო ფაზაში იმავე კონფიგურაციით მარცხენა ხელისგულზე მიდებული მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული. ჟესტი სრულდება მხრების დონეზე.



აბჯარი – იარაღი, სამხედრო აღჭურვილობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რკინა“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ორივე ხელის კონფიგურაციაა გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა ხელის გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელის თითებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტანსაცმელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებულია ოთხი თითი, ზევით აწეულია ცერები, ხელები მსუბუქად ეხება სხეულს, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




ბიულეტენი – მოკლე ოფიციალური ცნობა ავადმყოფობის შესახებ

ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ავად ყოფნა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, ცერი და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ზევით-ქვევით მოძრაობს და ზევიდან ეხება გაშლილი და ქვევით მიმართული მარცხენა ხელისგულის ზედაპირს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ფურცელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი – ქვევით მიმართული სინქრონული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



ბიუჯეტი – ხარჯთაღრიცხვა, სახელმწიფოს, ამა თუ იმ დაწესებულების, საწარმოს შემოსავალ-გასავალის ნუსხა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფული“ – ხელისგული ზევითაა მიმართული, მარჯვენა საჩვენებელი და შუა თითების წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გეგმა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელი გაშლილი თითების წვერებით ეხება მარცხენა ხელისგულს და იცვლის პოზიციას: ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული და გაშლილი თითების წვერებით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ბლანკი – 1. ქაღალდის ფურცელი, რომლის თავზეც დაბეჭდილია დაწესებულების ან ფირმის რეკვიზიტები; 2. ნაბეჭდი ფურცელი (ტრაფარეტი), რომლის ცარიელ ადგილებს ავსებენ სათანადო ჩანაწერებით

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ფურცელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი ქვევით მიმართული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბეჭედი“ / „ემბლემა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული, ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



ზნედა - ავი ზნე, ეპილეფსია, ქრონიკული ნერვული დაავადება, დამახასიათებელი შეტევებით, კრუნჩხვით


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ / „გონება“ – ხელისგული მიმართულია ქვევით, შუბლს ეხება გაშლილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაკარგვა“ – ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



მინდობილობა – საბუთი, რომლითაც ესა თუ ის პირი სხვას მიანდობს თავის ნების, სურვილის ან მოვალეობის ასრულებას


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნდობა“ – სხეულისკენ მიმართულია წინ გაწეული მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით, საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადაცემა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის

მოდრაობა წინ, ბოლო ფაზაში ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.




მისამართი – ადგილი, ზუსტი ადგილსამყოფელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „სახლი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქუჩა“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა იდაყვის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მარჯვნივ მოძრაობს მარცხენა ხელის გასწვრივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



აკუსტიკა – 1. ფიზიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ბგერას. 2. სმენადობის ხარისხი ამა თუ იმ შენობაში

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დახურული“ – გაშლილი ხელისგულები წინაა მიმართული, ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს გარე ნახევარ-წრეზე; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიწყნარე“ – ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილი, ერთმანეთთან მიტყუპებული და ქვევით დახრილია თითები, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ალილუია – „აქედეთ ღმერთსა“ მღვდელმსახურებაში სხვადასხვა ლოცვის ბოლოს მისამღერი სიტყვა.


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიხარული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით და ზევით აწეული ცერებით, ხელები ეხება მკერდს, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ამაღლება“ – გაშლილი ხელისგულები ზევითაა მიმართული, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ალუმინი – ჰედადი, მსუბუქი ლითონი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რკინა“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრეკადი“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მუშტად შეკრულია ხელები, ცერებზე შემოხვეულია საჩვენებელი თითები, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ბოლოდროინდელი ჟესტწარმოება ძირითადად აღწერილია:



ათინათი – ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოტანებული სინათლის სხივი, არეკლილი, ათამაშებული სინათლის (მზის, მთვარის) სხივი

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „(დახურულის) გაღება“ – წინ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებულ ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭუჭრუტანა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, გაშლილი და წინ მიმართული საჩვენებელი თითით იხაზება წრე, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, ბოლო ფაზაში გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი. ჟესტი სრულდება სახისა და მხრების დონეზე.

ქართულ ჟესტურ ენაში ლექსიკური ერთეულები, შესაძლოა, იყოს ერთ- ან ორკომპონენტიანი, მაგრამ ხშირია სამკომპონენტიანი ფორმებიც. შედარებით იშვიათია ოთხ- და ხუთკომპონენტიანი ფორმები. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართული ყრუთა თემი ჟესტწარმოებისას ძირითადად ეყრდნობა სიტყვის სემანტიკის ვიზუალურ მხარეს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ლექსიკური ერთეულების წარმოებისათვის გამოყენებულია აფიქსური დერივაციული ფორმები და წმინდა კომპოზიტური წყობაც. ამდენად, ნათელია, რომ ქართული ჟესტური ენის ლექსიკური ფონდი ფორმათწარმოების მრავალფეროვნებით ხასიათდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბატატუნაშვილი ა. “მოლაპარაკე ხელები” ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. თბილისი 2008
- Bazoev, Vladimir. Plamenni, Viktor. ” *Chelovek’ iz mira t’ishini*” A man from the world of silence. «Академкнига» Москва. 2002
- Charlotte Baker-Shenk, Dennis Cokely. *American Sign Language. A Teacher’s Resource Text of Grammar and Culture*. Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980, 1991
- Davidenko, Tatiana, and Komarova, Ana. “*K’rat’k’i ocherk’ po lingvist’ik’e Russkogo jestovogo iazik’a*” (A short article about Russian Sign Language) In “*Sovremennie aspek’t’i jestovogo iazik’a*” Ed. by Ana Komarova. Moscow, 2006 pp.146-161
- Elaine Costello. *American Sign Language Dictionary*. Random House Webster’s. NY. 1994
- Geilman I.F. *Gesture Languages of Friendship*. Volume II. Saint-Petersburg. 2003
- Costello, Elaine. 1994. *American Sign Language Dictionary*. Random House. NY
- Gregory, Susan. *The language and culture of deaf people: Implications for education*. Language and Education 6: 1992. pp.183-197.
- Kendon, Adam. "Human Gestures" In K.R. Gibson and T. Ingold (eds) *Tools, Language and Cognition in Human Evolution*. Cambridge: Cambridge University Press. 1994
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, გზამკვლევი ტრენინგისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, რვეული ტრენინგის მონაწილეებისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი
- თ. მახარობლიძე, ქართული დაქტილური ანბანი. იკე, ტ. 42. ა. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2014
- თ. მახარობლიძე, “დროის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში”. ქუთაისის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ ქუთაისი, 2013 294-302 გვ.

- თ. მახარობლიძე, “ზმნათა უღვლილება ქართულ ჟესტურ ენაში”, კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“. თსუ. თბილისი. 2013 231-233 გვ
- თ. მახარობლიძე, „ტერმინთა პრობლემა ქართულ ჟესტურ ენაში.“ კრებულში ”ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე“. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თსუ, თბილისი 2013.
- T. Makharoblidze. Electronic Dictionary of Georgian Sign Language. GMLT. A. Chikobava Institute of Linguistics. Tbilisi. 2013 (accepted for print)
- T. Makharoblidze. On Georgian Dactyl Alphabet. *INDIAN JOURNAL OF APPLIED LINGUISTICS – IJOAL (Vol. 40, No. 1-2, Jan-Dec 2014)*C/o BAHRI PUBLICATIONS, Kalkaji, New Delhi. 2013
- T. Makharoblidze. Georgian Sign Language Electronic Dictionary. International Journal of Computer and Information Technology. ISSN 2279-0764. vol. XX issue XX –XXXXXXXXX 201X www.ijcit.com (მიღებულია დასაბეჭდად) 2013
- T. Makharoblidze. The Georgian Dactyl Alphabet. Disability studies Quarterly. DSQ, Vol. 33, No.3 2013 <http://dsq-sds.org/article/view/3318>
- მახარობლიძე თ. (2012) ჟესტურ ენათა ნაციონალიზაციის პროცესი. კავკასიოლოგიური მიზეზები III, თსუ, თბილისი. 2012. 131-151გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) ჟესტური ენები. თსუ, ქართული ენის ინსტიტუტის შრომები #2 გვ.159-171
- მახარობლიძე თ. (2012) მოქმედების დრო ქართულ ჟესტურ ენაში. “კავკასიოლოგიური მიზეზები” – IV; თსუ, თბილისი. 2012. გვ
- პროზოროვა ე. და კიბრიკი ა. რეფერენცია ბგერითსა და ჟესტურ ენებში. Современные аспекты жестового языка. Ed. by Ана Комарова. Moscow, 2006
- *Словарь Русского жестового языка*. Авторский коллектив: Базоев В. З. Гаврилова Г.Н. Егорова И.А. Ежова В.В. Давыденко Т.П. Чаушьян Н.А. Москва. Изд. «Флинта» 2009
- “Sovremennie aspek’t’i jestovogo iazik’a” Ed. by Ана Комарова. Moscow, 2006
- Zaitseva, Galina. “Jestovaia rech. Dak’t’ilologia”. (Sign speech. Dactylology.) Vlados. Moscow. 2004

Tamar Makharoblidze

About the Georgian Sign Language Lexical Level

Georgian Sign Language lexicon is very rich by its sign-producing methods. I revealed a few derivational affixes. Beside the affix derivation forms, Georgian Sign Language (GESL) has the composed signs as well. On the one hand such composites follow the model of spoken Georgian and on the other hand GESL produces the forms explaining the inner meanings. Very often the second parts of combined signs show the form, direction, negation, ownership, human, destination etc., while the other cases display the detailed semantics of the lexical unit. The paper exposes the proper examples for the each case.